N725 2014 წლის 26 დეკემბერი ქ. თბილისი

„სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №116 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №116 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/01/2014, 470230000.10.003.017735) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის“ მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი კომპონენტების მიხედვით განისაზღვროს 31 686.8 ათასი ლარით:

№	კომპონენტის დასახელება	ღირებულება (ათასი ლარი)
1	სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ ფუნქციონირების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად საიჯარო გადასახადის გადახდა	433.4
2	საექსპერტო/საინჟინრო სამუშაოები და საპროექტო/საავტორო ზედამხედველობა	164.7
3	სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანების შესყიდვა	10,720.0
4	პროგრამის ადმინისტრირება	42.9
5	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის პროექტის/საპროექტო სამუშაოების შესყიდვა	10.0

6	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის პროექტის/საპროექტო სამუშაოების შესყიდვა	382.0
7	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება (ნაწილობრივი დაფინანსება)	9,500.0
8	საქართველოს ხუთ მუნიციპალიტეტში (ვანი, დედოფლისწყარო, ლენტეხი, ხარაგაული, ლანჩხუთი) სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვა შესაბამისი სამედიცინო აპარატურით	57.9
9	გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის ამბულატორიის შენობის გარე ფასადის სარემონტო სამუშაოების შესყიდვა	7.5
10	ეროვნული სამედიცინო ტრენინგ-ცენტრის შენობის დასრულების სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა	470.0
11	ეროვნული სამედიცინო ტრენინგ-ცენტრის შენობის გათბობა-გაგრილების სისტემის ოპტიმიზაცია-დასრულების სამუშაოების შესყიდვა	102.1
12	საქართველოს მასშტაბით 82 ამბულატორიის აღჭურვა სხვადასხვა სამედიცინო და საოფისე ინვენტარით	324.3

13	დედოფლისწყაროს მრავალპროფილიანი საავადმყოფოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების (გეოლოგიური კვლევისა და საავტორო ზედამხედველობის ჩათვლით) შესყიდვა	30.0
14	დაბა გუდაურში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (ტრავმული) ცენტრის:	217.3
	14.1 სამშენებლო სამუშოების შესყიდვა	120.0
	14.2 გათბობის სისტემისა და ტექნიკის შესყიდვა	30.6
	14.3 სამედიცინო აღჭურვილობისა და საოფისე ავეჯის შესყიდვა	66.7
15	ჯანდაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის დღგ-ის თანხის გადახდა	220.8
16	ეროვნული სამედიცინო ტრენინგ-ცენტრის ელექტროენერგიის გადასახადის თანხის გადახდა	0.8
17	სსიპ - სსდ ცენტრის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის:	1,787.2
	17.1 ავტომობილების (4 ერთეული), საოფისე ინვენტარისა და სამედიცინო პერსონალისათვის უნიფორმის შესყიდვა	857.1
	17.2 სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანებისათვის სამედიცინო აღჭურვილობის შესყიდვა	930.1

18	შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს“ სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება	266.5
19	დედოფლისწყაროს მრავალპროფილიანი საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოების განხორციელება (ნაწილობრივი დაფინანსება)	800.0
20	დაბა-ხარაგაულის მრავალპროფილიანი საავადმყოფოს საპროექტო/სამშენებლო/სარეკონსტრუქციო სამუშოების შესყიდვა	400.0
21	შპს „აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფოს“ გათბობის სისტემის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები	50.0
22	მაღალმთიან რეგიონებში (მესტიის, ონის, ცაგერის და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში) მოქმედი სამედიცინო ცენტრების (მოძრავი და უძრავი) ქონების წილის გამოსყიდვა	4,969.4
23	„C ჰეპატიტის“ სკრინინგისა და ღვიძლის დაავადებათა დიაგნოსტიკისათვის აპარატურის შესყიდვა	700.0
24	ლენტეხის მრავალპროფილიანი საავადმყოფოს საპროექტო სამუშაოების შესყიდვა	30.0
	სულ	31,686.8.“.

მუხლი 2. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განახორციელოს დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინადადებების საფუძველზე.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**